ყოველი ფინანსური წლის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ჯგუფის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომელსაც ჯგუფი ფლობს საიჯარო შემოსავლების მისაღებად ან კაპიტალის გასაზრდელად ან ორივე ერთად და არ არის დაკავებული მის მიერ.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით და შემდგომ ხდება მისი შეფასება რეალური საბაზრო ღირებულებით, რათა ანგარიშგების ბოლო თარიღისათვის ასახავდეს რეალურ საბაზრო პირობებს.

ჯგუფის საინვესტიციო ქონების რეალური საბაზრო ღირებულება დადგენილია დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ, რომელიც ფლობს შესაბამის პროფესიულ კვალიფიკაციას.

საიჯარო შემოსავლები ანგარიშგებაში ასახულია სხვა საოპერაციო შემოსავლებად, ხოლო საინვესტიციო ქონების შეფასებით მიღებული შედეგები წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წარდგენილია დამოუკიდებლად.

თუ საინვესტიციო ქონებას დაიკავეს მფლობელი, მისი რეკლასიფიცირება ხდება ძირითად საშუალებად, ხოლო ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება რეკლასიფიცირების თარიღში მისი ღირებულების შესაბამისად.

ჯგუფი როგორც მოიჯარე

ჯგუფი იჯარით ფლობს სასაწყობე ფართს. იჯარის ხელშეკრულებები ფორმდება 11 თვიდან 5 წლამდე ვადით. უძრავი ქონებასთან დაკავშირებულ იჯარების შემთხვევაში, როდესაც ჯგუფი წარმოადგენს მოიჯარეს, არ ხორციელდება საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტების გამოყოფა და სრულად განიხილება როგორც ერთიანი იჯარის კომპონენტი.

იჯარის პირობები ყოველი ცალკეული კონტრაქტისათვის ინდივიდუალური მოლაპარაკებების საგანია. ეს შეთანხმებები არ მოიცავენ რაიმე შემზღუდველ პირობებს (კოვენანტებს) გარდა იჯარით აღებული აქტივების უსაფრთხოებისა. აგრეთვე, დაუშვებელია მათი გამოყენება სასესხო ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით. იჯარები აღიარებულია როგორც გამოყენების უფლებით არსებული აქტივები და შესაბამისი ვალდებულებები.

იჯარიდან წარმოშობილი აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად იზომება მიმდინარე ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებების წმინდა მიმდინარე ღირებულება მოიცავს (მათი არსებობის შემთხვევაში) შემდგომ სახდელებს:

- ფიქსირებული გადახდები (მათ შორის, არსებითად ფიქსირებული გადახდები), წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე და თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით;
- ნარჩენი ღირებულების გარანტიები, რომლებიც მეიჯარისთვის გარანტირებულია მოიჯარის მიერ, მოიჯარესთან დაკავშირებული მხარის მიერ, ან მეიჯარისგან დამოუკიდებელი ნებისმიერი მესამე მხარის მიერ, რომელსაც შეუძლია ამ საგარანტიო ვალდებულების ფინანსურად შესრულება;
- საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების გამოყენების ფასი, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის გათვალისწინებული ჯარიმები, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლების გამოყენებას.

ვალდებულების გაზომვისას ასევე გაითვალისწინება ის გადახდები, რომლებიც განხორციელდება შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გაგრძელების შემთხვევაში, როდესაც ამ უკანასკნელის ხდომილობა მართლზომიერად სარწმუნოა. სახდელები დისკონტირდება იჯარაში განივთული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუკი ამგვარი განაკვეთის დადგენა შეუძლებელია, როგორც ეს კომპანიის იჯარების უმრავლეს შემთხვევაშია, გამოიყენება მოიჯარის (კომპანიის) ზღვრული სასესხო განაკვეთი.

ზღვრული სასესხო განაკვეთი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთს, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

იჯარის სახდელები იყოფა ძირის დაფარვად და ფინანსურ ხარჯად. ფინანსური ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იჯარის მოქმედების განმავლობაში. გამოყენების უფლებით არსებული აქტივები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ გაზომვას;
- იჯარის დაწყებამდე განხორციელებულ გადახდებს;
- სხვა რაიმე პირდაპირ დანახარჯებსა, და
- აღდგენასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

გამოყენების უფლებით არსებული აქტივები ამორტიზირდება წრფივი მეთოდით, სასიცოცხლო ვადასა და იჯარის ვადას შორის უმცირეს პერიოდზე. თუ ჯგუფის მიერ აქტივის გამოსყიდვის, კონტრაქტით გათვალისწინებული, ოფციის გამოყენება მართლზომიერად სარწმუნოა, გამოყენების უფლებით არსებული შესაბამისი აქტივის ცვეთის ვადად განისაზღვრება მისი სასიცოცხლო ვადა. კომპანია არ იყენებს ფასს 16-ით გათვალისწინებულ გამონაკლისებს მცირეფასიან და მოკლევადიან იჯარებთან მიმართებით, შესაბამისად, მათი აღრიცხვა წარმოებს ზემოთ აღწერილი პოლიტიკის შესაბამისად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს ჯგუფის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

შპს ევროსტილი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (გამსესხებლისთვის გადასახდელი ფულის რაოდენობის მიმდინარე ღირებულება, გარიგების ხარჯების ჩათვლით). მიღებული სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და წარდგენილია ფინანსურ ხარჯებში. სესხით მომსახურებაზე განხორციელებული გადახდები (საპროცენტო ხარჯი) აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდის დანახარჯზე რომელშიც მოხდა მისი გაწევა. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები თუ კომპანიას არ აქვს უპირობო უფლება საანგარიშგებო თარიღის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადაავადოს ვალდებულება.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

ლივიდენდები

ლივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული ლივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

შემოსავალი

ჯგუფის შემოსავლის ძირითადი ნაწილი მოიცავს სამშენებლო მასალების საბითუმო და საცალო ვაჭრობას. ჯგუფი შემოსავალს აღიარებს მაშინ როდესაც დაკმაყოფილებულია მასთან დაკავშირებული ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა.

- (ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- (ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- (გ) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება;
- (დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

ჯგუფი შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს. გარიგების ღირებულების გადახდა ხდება ძირითადად დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ საქონლის შესყიდვა, ან წინასწარ გადახდილი ავანსის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

ჯგუფის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით. საკონტრაქტო ღირებულება, ასევე, მოიცავს ცვლად ანაზღაურებას, საურავებისა და ჯარიმების სახით. შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება ჯგუფის კონტრაქტების არსებითი ნაწილი არის ფიქსირებულ ფასიანი. ყოველ მომსახურებაზე დგება დამოუკიდებელი ხელშეკრულება, რომელიც არ მოიცავს დამატებით მომსახურებას, გარდა მიწოდების მომსახურებისა. შესაბამისად კომპანია მთლიან საკონტრაქტო ფასს ანაწილებს კონკრეტულ მომსახურებაზე და მიწოდების მომსახურებაზე.

შპს ევროსტილი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

თვითღირებულების ხარჯები

პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს რეალიზებული საქონლის ღირებულებას შემცირებული საანგარიშო პერიოდის უკან დაბრუნებებით. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება მოიცავს გაყიდული მარაგების რაოდენობის შესაბამისად აკუმულირებულ ხარჯებს, რომელიც გამოანგარიშებულია მარაგების საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

ხარჯები

ჯგუფი ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ჯგუფს წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად, საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული ტრანსპორტირების ხარჯი წარმოადგენს მიწოდების ხარჯებს რადგან აღნიშნული ხარჯები გაიწევა ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად.

მომსახურების გაწევისას წარმოქმნილი ხარჯები აღიარდება მიღებული შემოსავლის პროპორციულად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებულების დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. ხელფასის ხარჯი მოიცავს, როგორც ფიქსირებულ ასევე გამომუშავებულ ანაზღაურებას რომლის კალკულაციაც ხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს.

4. ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

მიწოდების ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოაშუაღონ გარკვეული სპეციფიური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). შესწორების თანახმად, გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

შპს ევროსტილი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ჯგუფის შეფასებით ცვლილებებს არ აქვს გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა
ძალაში სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

შენიშვნა 5 - შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან

შემოსავლების გენერირება ხორციელდება მყიდველებისათვის არმატურის რეალიზაციით რომელიც შემცირებულია უკან დაბრუნებით

	2024	2023
შემოსავალი საქონლის და მომსახურების რეალიზაციიდან	122 752 081	128 267 830
გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება	(424 288)	(449 602)
სულ შემოსავალი	122 327 793	127 818 228

შენიშვნა 6 - რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

პროდუქციის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს საანგარიშო პერიოდში გაყიდული საქონლის შესაბამისად ჩამოწერილი მარაგების თვითღირებულებას, რომელიც გამოანგარიშებულია საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით

	2024	2023
რეალიზებული მარაგების თვითღირებულების ხარჯი	110 288 094	114 725 633
რეალიზებული მარაგების დაბრუნება და ფასდათმობა	(396 728)	(370 120)
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	109 891 366	114 355 513

შენიშვნა 7 - მიწოდების ხარჯები	2024	2023
სარეკლამო ხარჯები	76,862	145,547
ხელფასის ხარჯი	863,546	780,140
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	3,811	148,228
საწვავის ხარჯი	146,733	154,024
სატრანსპორტო ხარჯი	699,177	565,923
ფიზიკური პირებისგან გაწეული მომსახურება	695,939	1,141,538
სხვა მიწოდების ხარჯი	42,931	55,642
სულ მიწოდების ხარჯები	2,528,999	2,991,042

შპს ევროსტილი
 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 8 - საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2024	2023
სახელოფასო ხარჯი	641,582	679,888
ცვეთა და ამორტიზაცია	438,961	373,304
საგადასახადო ხარჯი	72,271	162,813
საბანკო ხარჯი	153,612	125,210
სამშენებლო ხარჯი	108,475	-
საკონსულტაციო ხარჯი	104,895	110,040
იჯარის ხარჯი	(0)	-
კომუნალური ხარჯი	103,780	100,259
საპენსიო ხარჯი	45,504	53,918
საოფისე ხარჯი	9,947	11,608
რემონტის ხარჯი	3,458	7,368
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	99,890	101,554
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,782,374	1,725,962

შენიშვნა 9 - სხვა საოპერაციო შემოსავლები	2024	2023
შემოსავალი იჯარიდან	1,134,683	841,470
ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ზედმეტობა	248,040	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი	57,951	179,924
მოგება ძირ. საშუალების გაყიდვიდან	-	1,645
სულ სხვა საოპერაციო შემოსავლები	1,440,674	1,023,039

შენიშვნა 10 - ფინანსური შემოსავალი	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი	1 972 070	1 249 214
საკურო სხვაობის მოგება	-	94 146
სულ ფინანსური შემოსავალი	1 972 070	1 343 360

შპს ევროსტილი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 11 - ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
საწყისი ღირებულება							
თვითღირებულება	5 025 177	2 554 493	61 864	825 728	97 436	-	8 564 699
დაგროვილი ცვეთა	-	(479 155)	-	(199 065)	(47 841)	-	(726 061)
საბალანსო ღირებულება 31/12/2022	5 025 177	2 075 339	61 864	626 662	49 595	-	7 838 638
დანამატები	-	606 612	560 962	35 120	3 235	39 966	1 245 896
აქტივის ჩამოწერა	-	-	(606 612)	(12 849)	(23 706)	-	(643 167)
ცვეთა პერიოდისთვის	-	(188 121)	-	(78 534)	(17 158)	-	(283 812)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	1 848	23 706	-	25 553
ბალანსი 31/12/2023	5 025 177	2 493 831	16 214	572 248	35 672	39 966	8 183 108
დანამატები	-	211 935	600 871	288 815	974	93 776	1 196 370
აქტივის ჩამოწერა	-	-	(211 935)	(7 570)	(18 632)	-	(238 136)
ცვეთა პერიოდისთვის	-	(229 264)	-	(80 271)	(11 559)	(3 797)	(324 891)
კორექტირება	-	73 736	-	-	-	-	73 736
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	7 570	18 632	-	26 201
ბალანსი 31/12/2024	5 025 177	2 550 238	405 150	780 791	25 087	129 946	8 916 388
ბალანსი 31/12/2023	5 025 177	2 493 831	16 214	572 248	35 672	39 966	8 183 108
ბალანსი 31/12/2024	5 025 177	2 550 238	405 150	780 791	25 087	129 946	8 916 388

შპს ევროსტილი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 12 - საინვესტიციო ქონება	31.12.2024		31.12.2023	
	მიწები	შენობა	მიწები	შენობა
1 იანვარი	19 477 997	694 391	19 477 997	694 391
კორექტირება	-	(73 736)	-	-
შემოსვლა	1 728 000	-	-	-
გასვლა	-	-	-	-
ცვეთა და ამორტიზაცია	-	(24 579)	-	-
31 დეკემბერი	21 205 996	596 076	19 477 997	694 391

საინვესტიციო ქონების რეალური საბაზრო ღირებულება მიმდინარე პერიოდში არსებითად არ შეცვლილა რის გამოც კორექტირებები ღირებულების შესაცვლელად განხორციელებული არ არის.

შენიშვნა 13 - აქტივი გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებები

2023 წელს ჯგუფმა იჯარით აიღო სასაწყობო მიწა, რომლის კონტრაქტიც აკმაყოფილებს IFRS16-ს შესაბამისად ფინანსური იჯარის კრიტერიუმებს და ასახულია ანგარიშგებაში შესაბამისად

	მიწა
საბალანსო ღირებულება 31/12/2022	-
შესყიდვები	535 863
ცვეთის ხარჯი	(89 310)
საბალანსო ღირებულება 31/12/2023	446 552
ცვეთის ხარჯი	(89 310)
საბალანსო ღირებულება 31/12/2024	357 242

საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება და მოძრაობები საანგარიშო პერიოდში

	31.12.2024	31.12.2023
შესყიდვები	454 935	535 863
პროცენტის დარიცხვა	20 913	23 862
გადახდები	(104 311)	(100 299)
უცხოური ვალუტის ცვლილებით გამოწვეული ეფექტი	17 432	(4 492)

სულ ჯამი :	388 969	454 935
მოკლევადიანი	90 209	82 236
გრძელვადიანი	298 760	372 699

მოგება-ზარალში აღიარებული თანხები

	2024	2023
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი	89 310	89 310
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	20 913	23 862
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ეფექტი	17 432	(4 492)
მოგება ზარალში აღიარებული მთლიანი თანხა	127 655	108 681

შენიშვნა 14 - სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	12/31/2024	12/31/2023
გასაყიდად გამიზნული საქონელი	13,479,630	14,641,536
საქონელი გზაში	-	168,779
სხვა მარაგები	913	1,461
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	13,480,543	14,811,776

შპს ევროსტილი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 15 - სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო მოთხოვნები რეალიზაციიდან	8 399 093	6 400 336
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(749 599)	(767 292)
სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანება	7 649 494	5 633 044
მოთხოვნები იჯარიდან	51 460	79 872
გადახდილი ავანსები	2 488 448	2 689 899
სხვა დებიტორული დავალიანება	6 325	13 788
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	10 195 727	8 416 602

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული რეზერვის ცვლილება:

	12/31/2024	12/31/2023
1 იანვარი	(745,788)	(597,560)
გაუფასურების რეზერვის ცვლილება	(3,811)	(148,228)
31 დეკემბერი	(749,599)	(745,788)

შენიშვნა 16 - ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	31.12.2024	31.12.2023
ნაღდი ფული სალაროში	23 087	16 305
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	22 630 784	17 777 440
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	190	12 126 509
სულ ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	22 654 060	29 920 254

შენიშვნა 17 - სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	12/31/2024	12/31/2023
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	2,289,730	2,530,950
მიღებული ავანსები	704,478	2,576,774
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	2,994,208	5,107,725

შენიშვნა 18 - სასესხო ვალდებულებები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი ფლობდა სასესხო ვალდებულებებს საბანკო დაწესებულებების მიმართ, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად არის დაფარული და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ვალდებულებების აღარ ფიქსირდება.

ცხრილში ნაჩვენებია საანგარიშო პერიოდებში სესხების მოძრაობა:

	2024	2023
ნასესხები ფულადი სახსრები და გადასახდელი პროცენტები	13 990 379	10 562 039
სესხზე დარიცხული პროცენტი	306 302	164 478
მიღებული ფულადი სახსრები	20 986 941	33 832 266
გადახდილი პროცენტი	(311 931)	(175 588)
გადახდილი ძირი თანხა	(35 074 137)	(30 280 310)
დადებითი საკურსოს ხვაობა	102 446	(112 505)
სულ ნასესხები სახსრები	-	13 990 379
გრძელვადიანი ნაწილი	-	-
მოკლევადიანი ნაწილი	-	13 984 750

19. რისკის მართვა

ჯგუფი საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. კომპანიის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

ჯგუფის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა). ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, ჯგუფი მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად ჯგუფი განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: სახელშეკრულებო პირობები მათთან ანგარიშსწორების მონიტორინგისათვის, გამოცდილება და პრაქტიკა თითოეულ კონტრაგენტთან ანგარიშსწორების პირობებზე, მიწოდებული მომსახურების და საქონლის შინაარსი და სხვა. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე რეალიზაციაზე თანხის ანაზღაურება ძირითადად ხორციელდება წინასწარ, რაც ამცირებს ოპერაციებთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკებს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფს შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ჯგუფის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად. ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ჯგუფის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. ჯგუფი ესწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უმთავრესად შედგება საოპერაციო ფულადი ნაკადებისა და მომხმარებელთა წინასწარი გადახდებისაგან. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2024 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ვალდებულებები კონტრაქტების მიხედვით დარჩენილი გადახდის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში მოცემული თანხები არის კონტრაქტით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები.

	ვალდებულება 1 თვემდე ვადაში	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31 დეკემბერი 2024 სულ
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	45,838	45,394	3,751	1,010,023	1,184,724	2,289,730
ნასესხები სახსრები	-	-	-	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	45,838	45,394	3,751	1,010,023	1,184,724	2,289,730

შპს ევროსტილი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)
ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

	ვალდებულება 1 თვემდე ვადში	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31 დეკემბერი 2023 სულ
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	958,388	168,285	144,701	88,644	1,170,932	2,530,950
ნასესხები სახსრები	13,452,629	-	537,750	-	-	13,990,379
სულ ფინანსური ვალდებულებები	14,411,017	168,285	682,451	88,644	1,170,932	16,521,329

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. ჯგუფი უცხოურ ვალუტაში ახორციელებს მარაგების შესყიდვას და შემდგომ ეროვნულ ვალუტაში მათ რეალიზაციას.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია ჯგუფის უცხოური ვალუტის გადაცვლის კურსის რისკი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ არაფულადი აქტივები რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს არ წარმოშობს.

	31 დეკემბერი 2024			31 დეკემბერი 2023		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო პოზიცია
აშშ დოლარი	112	(1 003 225)	(1 003 114)	12 126 490	(14 369 679)	(2 243 190)
რუბლი	85	-	85	20	-	20
ჩინური იუანი	23	-	23	-	-	-

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას.

მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოსატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. წმინდა მოგებასა და კაპიტალზე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების ეფექტი მნიშვნელოვან სავალუტო ნაშთებზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
	გავლენა-მოგება ზარალზე	გავლენა-მოგება ზარალზე
აშშ დოლარის 20%-იანი გამყარება	(200 623)	(448 638)
აშშ დოლარის 20%-იანი გაუფასურება	200 623	448 638
რუბლის 20%-იანი გამყარება	17	4
რუბლის 20%-იანი გაუფასურება	(17)	(4)
ჩინური იუანის 20%-იანი გამყარება	5	-
ჩინური იუანის 20%-იანი გაუფასურება	(5)	-

20. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრა ჯგუფის მიერ, რომელმაც გამოიყენა ბაზარზე არსებული ინფორმაცია, მისი არსებობის შემთხვევაში, და შეფასების შესაბამისი მეთოდოლოგიები. თუმცა, საჭიროა განსჯის გამოყენება იმისათვის, რომ ინტერპრეტირებული იქნეს საბაზრო მონაცემები და განისაზღვროს შეფასებული რეალური ღირებულება. საქართველო კვლავ ამჟღავნებს ჩამოყალიბებადი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნის მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობებით კვლავ იზღუდება ფინანსურ ბაზრებზე აქტივობების მოცულობა. საბაზრო კოტირებები შესაძლოა მოძველებული იყოს, ან ასახავდეს იძულებითი გაყიდვის ოპერაციებს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. ხელმძღვანელობამ გამოიყენა არსებული ყველა საბაზრო ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებიანი ინსტრუმენტების შეფასებული ღირებულება ეფუძნება მომავალში სავარაუდო ფულადი სახსრების ნაკადებს, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირების მეშვეობით, იმ ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე.

სავაჭრო და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს. ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს. ამ ორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. ფიქსირებული დაფარვის ვადის მქონე მიღებული სესხების, აგრეთვე, იჯარიდან წარმოშობილი ვალდებულებების, სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით იმ ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია.

21. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ მიმდინარეობს სასამართლო დავები და საჩივრები. მოქმედი სასამართლო დავები მოიცავს მშენებლობის და სავაჭრო პროცესთან დაკავშირებულ დავებს, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე, ვინაიდან ძირითადად მოიცავს დებიტორებთან არსებულ სასამართლო დავას თანხის ამოღებასთან დაკავშირებით, სადაც ჯგუფი წარმოადგენს „მოსარჩელე“ მხარეს.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

გასულ საანგარიშო წელს ჯგუფში ჩატარდა საგადასახადო შემოწმება, რომლის საფუძველზეც წარმოშობილია ვალდებულება, რომელიც არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. აღნიშნული გადაწყვეტილება არა სამართლიანია და გასაჩივრებულია ფინანსთა სამინისტროს დავების სამსახურში. ვინაიდან ჩვენ არ ვიზიარებთ შემოწმების შედეგად დამდგარ შედეგებს შესაბამისად არ მოველით რომ აღნიშნული გადაწყვეტილება აღსრულდება და ის არ გვაქვს ასახული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებში.

შპს ევროსტილი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ: ტ

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტიორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

ჩანაწერებში მოცემულია საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები:

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები:	2024	2023
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1 177 466	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	672 608	589 715

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები:

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები:	2024	2023
მარაგების შეძენა	462 377	392 755
ძირითადი საშუალებების შეძენა	1 728 000	-
მომსახურების შეძენა	8 816	-
საქონლის რეალიზაცია	11 591 729	12 157 382

ხელფასის ხარჯი:

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები:	2024	2023
წამყვანი მენეჯმენტი	263 121	386 321

23. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ჯგუფი სარგებლობს კომერციულ ბანკებთან საკრედიტო ხაზით, რომელიც 2024 წლის საანგარიშო პერიოდის ბოლოს სრულად იყო განულებული თუმცა ბალანსის შემდგომ პერიოდში კვლავ განხორციელა საკრედიტო ხაზის აქტივაცია და კომერციულ ბანკთან არსებული საკონტრაქტო პირობების შესაბამისად მოხდა სესხის აღება და გრაფიკის პირობების მიხედვით დაფარვა. ბალანსის შემდგომ პერიოდში საკრედიტო ხაზის ნაშთი შეადგენს 3 441 667 ლარს. ჯგუფს სხვა მნიშვნელოვანი ოპერაციები, რომელიც მოითხოვს დამატებით მსჯელობას არ განუხორციელებია.

შპს ევროსტილი

2024 წლის მმართველობითი ანგარიშგება

კონსოლიდირებული

12 აგვისტო 2025 წელი



ნინო გაბელაშვილი
დირექტორი

შპს ევროსტილი

2024 წლის მმართველობითი ანგარიშგება

კონსოლიდირებული

12 აგვისტო 2025 წელი

ნინო გაბელაშვილი

დირექტორი

სარჩევი

ინფორმაცია ევროსტილის ფილიალების საქმიანობის შესახებ.....	2
შვილობილი კომპანიების მიმოხილვა	4
კომპანიის სამომავლო გეგმები და 2023 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები.....	4
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	5
აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	6
წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები	8



ინფორმაცია ევროსტილის ფილიალების საქმიანობის შესახებ

შპს ევროსტილი (თავდაპირველი სახელი - შპს პირამიდა-2) დაარსდა 2016 წლის 16 ნოემბერს. კომპანია მოღვაწეობს ქართულ ბაზარზე - ვაჭრობს რკინის ნაწარმის სხვადასხვა სახეობით. ესენია: არმატურა, გლინულა, კუთხოვანა, პროფილური მილი, მრგვალი მილი, წერტილოვანი ბადე,

ლითონის ფურცელი და სხვ. შპს ევროსტილის ტვირთბრუნვა შეადგენს წელიწადში დაახლოებით 60 000 ტონას. ორგანიზაციას გააჩნია საკუთრებაში რამოდენიმე მიწის ფართობი რომელიც შეიძინა 2017-2024 წელს საინვესტიციო მიზნებისთვის. ფირმის დამატებითი შემოსავალი შეადგენს მიწის გაქირავებიდან მიღებულ თანხებსაც. შპს ევროსტილის დასაქმებული ყავს 80-მდე თანამშრომელი. ფირმა ემსახურება როგორც საცალო, ასევე კორპორატიულ და სახელმწიფო ორგანიზაციებს. ევროსტილი აერთიანებს რამდენიმე მეტალო ბაზას, რომელიც თბილისში და ბათუმშია განთავსებული. კომპანია ქართულ ბაზარზე ერთ-ერთი მსხვილი მოთამაშეა. იგი ახორციელებს სხვადასხვა სახეობის და ხარისხის რკინის ნაწარმის იმპორტს ისეთი ქვეყნებიდან, როგორებიცაა თურქეთი, აზერბაიჯანი და ირანი, ასევე ახორციელებს ადგილობრივ შეძენებს შემდგომი გაყიდვის მიზნით.


გაყიდვები

შპს ევროსტილი ბიზნესი პირობითად შეიძლება დაიყოს 2 სეგმენტად:

ვაჭრობა რკინის ნაწარმით

იჯარით გაცემული ქონება (მიწა)

კომპანია ვაჭრობს როგორც საცალო, ასევე საბითუმო სეგმენტზე და სახელმწიფო ორგანიზაციებთან - საერთო ჯამში ემსახურება წლიურად 11 000 კლიენტს, უზრუნველყოფს პროდუქციის მიწოდება-ტრანსპორტირებას საქართველოს ყველა რეგიონში.



მეტალის პროდუქციის გაყიდვის გარდა ფირმა შემოსავალს იღებს იჯარით გაცემული მიწიდან. მეიჯარეები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც მსგავს საქმიანობას ახორციელებენ - ვაჭრობენ მეტალის პროდუქტით ან ეწევიან საზეინკლო და მსგავს მომსახურებებს. კომპანიას ყოველთვიურად ყავს საშუალოდ 60 მეიჯარე.

კომპანიის მენეჯმენტის აზრით იმპორტი სხვადასხვა ქვეყნიდან უზრუნველყოს მარაგების სტაბილურ მოწოდებას და შეუფერხებელ ვაჭრობას. მნიშვნელოვანია, რომ შპს ევროსტილს გააჩნია პირდაპირი კავშირი მომწოდებლებთან, რაც განაპირობებს პროდუქციაზე კონკურენტულად დაბალი ფასის და მარაგების უსაფრთხო დონის შენარჩუნებას.

შვილობილი და მეკავშირე კომპანიები

შპს ევროსტილი დამატებითი ოპერირებს შემდეგი შვილობილი კომპანიების მეშვეობით:

- შპს ასც სტილი, რომელიც დაარსდა 2018 წლის 16 ოქტომბერს - ახორციელებს რკინის ნაწარმის ექსპორტს და ადგილობრივ შეძენებს შემდგომი რეალიზაციის მიზნით (ფლობს წილის 50%) განსახილველ პერიოდში კომპანია უმოქმედოა.
- შპს ევრომეტი, რომელიც დაარსდა 2018 წლის 24 მაისს - ახორციელებს საკუთრებაში მყოფი მეტალობაზის გაქირავებას (ფლობს წილის 67%)

2024 წლის განვითარების გეგმები

შპს ევროსტილი ორიენტირებულია გაფართოებაზე და ბაზრის წილის ზრდაზე. ამჟამად კომპანია ფლობს ბაზრის წილის დაახლოებით 50 პროცენტს.

- 2024 წელს მნიშვნელოვან მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ კომპანიამ შეიძინა კიდევ ერთი მიწის ნაკვეთი საინვესტიციო დანიშნულებით.
- გააქირავა დასრულებული ბაზა # 7
- შეიძინა ლაზერის მრავალფუნქციური საჭრელი აპარატი
- შეიძინა დამატებითი სატვირთო მანქანა

შპს ევროსტილი ძირითადი მიზნები მომდევნო 2 წლისთვის შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- ბაზრის წილის ზრდა;
- დამატებითი მეტალო-ბაზების მშენებლობა თბილისის გარეთ
- საქმიანობის სფეროს გაფართოება
- დამატებითი მომსახურებების შემოტანა - ლაზერული აპარატით მრავალფუნქციური ჭრა

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის მენეჯმენტის აზრით ფირმის განვითარებაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს როგორც ობიექტურმა, ასევე სუბიექტურმა რისკ-ფაქტორებმა.

ობიექტური ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა, რაც ყველა ბიზნესისთვის გადამწყვეტი ფაქტორია. ასევე გეოპოლიტიკური მდგომარეობა და დიპლომატიური ურთიერთობები იმ მოკავშირე ქვეყნებთან, საიდანაც ხორციელდება პროდუქციის იმპორტი.

ბიზნესის მოგებიანობაზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ვალუტის კურსის მკვეთრმა ზრდამ. საწარმო სარგებლობს საბანკო სესხით, რომელიც ნომინირებულია უცხოურ ვალუტაში (დოლარში). კურსის ცვლილება ბუნებრივია გაზრდის საპროცენტო ხარჯს, რაც უარყოფითად აისახება წმინდა მოგების ციფრზე.

ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფო რეგულაციები, რომელიც უწესდება რკინის ნაწარმს. ხშირი ბიუროკრატიული და საკანონმდებლო ცვლილებები მოქმედებს ბაზრის სტაბილურობაზე, იწვევს მოთხოვნა-მიწოდების რყევებს და ართულებს ბიზნესის განვითარების პროგნოზს.

რაც შეეხება სუბიექტურ ფაქტორებს, კომპანია ორიენტირებულია დანერგოს და დახვეწოს მენეჯმენტის სწორი მიდგომები, რომელიც შეესაბამება მის საქმიანობას. მიმდინარეობს სამუშაოები შრომის უსაფრთხოების სტანდარტის გასაუმჯობესებლად, რაც განაპირობებს თანამშრომელთა უსაფრთხო სამუშაო გარემოს, მათი უფლებების დაცვას და ჯანსაღი სამუშაო პირობების შექმნას.


კომპანია ცდილობს აღმოფხვრას ყველა ის ხარვეზი, რაც გამოიწვევს საწარმოო ციკლის შეფერხებას ან არასწორ აღრიცხვას, მუშაობს კონტროლის მექანიზმების სრულყოფაზე პროდუქციის შეძენიდან მის საბოლოო მომხმარებელამდე მიწოდებისთვის. შპს ევროსტილს უწევს საკმაო რესურსის დახარჯვა პრობლემურ (გადახდისუუნარო) კლიენტებთან დაკავშირებით. კომპანია ცდილობს წინასწარ მიიღოს დაზღვევის სხვადასხვა ზომები (უზრუნველყოფა, თავდებობა, გირაო), რათა თავიდან აიცილოს პრობლემური დებიტორული დავალიანებების ზრდა.



აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ევროსტილის ფინანსური ანგარიშგება წარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (სრული ფასს) მიხედვით.

ფინანსური მაჩვენებლები

შპს „ევროსტილი“ 2018-2024 წელს მიღებული შემოსავლების პროცენტული გადანაწილების და სხვა ფინანსური მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია ასახულია ქვემოთ მოცემულ დიაგრამებში:





- . იჯარიდან მიღებული შემოსავლების ზრდა გამოიწვია ახალი საინვესტიციო ბაზის აშენებამ და გაქირავებამ. აღნიშნული ბაზის მშენებლობა მიმდინარეობდა 2023 წელს.
- . შემოსავალი გაყიდვებიდან შემცირებულია უმნიშვნელოდ.
- . მოგების ზრდა გამოწვეულია არასაოპერაციო შემოსავლების და საპროცენტო შემოსავლების ზრდის ხარჯზე.

წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

რეპუტაცია და ბრენდის სიძლიერე

2020-2021-2022-2023 წ.წ. შპს ევროსტილმა მიიღო გადაწყვეტილება უფრო ცნობადი გამხდარიყო ქვეყნის მასშტაბით. დაიწყო აქტიური სარეკლამო კამპანია. ბრენდის სიძლიერეზე მეტყველებს მისი უწყვეტი ზრდა-განვითარება რაც გამოიხატება არამხოლოდ ფინანსურ მაჩვენებლებში, არამედ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაშიც. ევროსტილი არის კომპანია, სადაც შესაძლებელია ნებისმიერი სახეობის და რაოდენობის, მაღალი ხარისხის რკინის პროდუქციის შეძენა მთლიანი ქვეყნის მასშტაბით.

მომხმარებელები

ფირმა გამოირჩევა მომხმარებლების დიდი რაოდენობით და მრავალფეროვნებით. ჩვენთვის ყველა კლიენტი მნიშვნელოვანია. შპს ევროსტილი ამარაგებს, როგორც კერძო მშენებლობებს, ასევე სხვადასხვა სტრატეგიული მნიშვნელობის სახელმწიფო პროექტებს. ფირმა მუშაობს კვირაში შვიდი დღე, მაქსიმალურად ოპერატიულად აწვდის ნებისმიერი რაოდენობის შეკვეთას ქვეყნის ყველა რეგიონში და ცდილობს მოერგოს მომხმარებელთა მოთხოვნებს.

დასაქმებულები

კომპანიაში ამჟამად დასაქმებულია 80-მდე ადამიანი. კომპანიის ლოიალური პოლიტიკის წყალობით ყველა კატეგორიის მუშახელს, საშუალება ეძლევა წარმოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობები და განვითარდეს სურვილისამებრ. ორგანიზაციაში არსებობს მოქნილი სამუშაო გრაფიკი დასაქმებული ქალებისთვის და მცირეწლოვანი ბავშვების მშობლებისთვის. კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს დასაქმებულთა ფონდი და საჭიროებისამებრ გაზარდოს მომავალში.

სუბიექტის პოზიცია ბაზარზე

შპს ევროსტილი ქართული ბაზრის ერთ-ერთი მსხვილი მონაწილეა თავის დარგში. კომპანია ფლობს დაახლოებით ბაზრის 49%-ს. იმპორტს ახორციელებს რამოდენიმე ქვეყნიდან (ირანი, აზერბაიჯანი, თურქეთი, რუსეთი, უკრაინა). საქონელს იძენს ასევე ადგილობრივი მომწოდებლებისგან. კომპანია ცდილობს გაიმყაროს პოზიციები და განსაზღვროს მუდმივი განვითარების სწორი პერსპექტივა.

კვლევა და განვითარება

ქართული რკინის ბაზარი უაღრესად კონკურენტულია და კომპანია იბრძვის განვითარებისთვის კონკურენტული ფასების პირობებში. ამისთვის იგი მუდმივად აფართოებს პროდუქციის ასორტიმენტს და ცდილობს დახვეწოს ლოჯისტიკური პრობლემები. ატარებს ბაზრის კვლევებს მოთხოვნის ცვლილებების შესწავლის მიზნით, პროდუქციის შემოტანის ალტერნატიული გზების აღმოსაჩენად (რათა თავიდან აიცილოს შესაძლო განუსაზღვრელობები ეკონომიკური რყევების პირობებში).